

## დიდად პატივცემულო

ვლადიმერ ალექსანდრეს ძევ!

ფოთი, 1914 წლის 7 იანვარი.

მაპატიეთ, რომ საჩქარო საქმეებით დაკავებულმა, სასიამოვნო და ჩემთვის ასე უჩვეულო თქვენს წერილზე პასუხი დაგიგვიანეთ. თქვენი სტატია ჩემი ძველი ფრანგული ბროშურის შესახებ თავის დროზე წავიკითხე და არ ვიცი, როგორ გადაგიხადოთ მის გამო მადლობა. აქამდე ჩვენს პრესაში და კერძო საუბარში ჩემს ნაწერებს მხოლოდ ამახინჯებდნენ და სხვადასხვა სამაგელი «პრაქტიკული» მიზნებისათვის იყენებდნენ. და უეცრად მათ შესახებ უბრალო, ადამიანური ენით ალაპარაკდნენ! მომეჩვენა, თითქოს მკვდარი ვარ უკვე, ანდა ყოველივე ამას სიზმარში ვხედავ. შემდეგ მივიღე თქვენი 27 დეკემბრის წერილი, თითქოსდა «იმ ქვეყნიდან». ვერ მოვახერხე სწრაფად გავრკვეულიყავი ასეთ სურპრიზში, მით უმეტეს, რომ თქვენი სურვილის აღსრულება ჩემგან მოითხოვდა ძველთან დაბრუნებას, ძველი ჭრილობების გაღიზიანებას. მაგრამ ბოლოსდაბოლოს გადავწყვიტე, რომ უფლება არა მაქვს არ გამოვხატო მადლიერების გრძნობა თქვენდამი თქვენი თხოვნის შესრულებით, – მოგცეთ ძაფი ჩემი ნაწარმოებების ბიბლიოგრაფიული ძიებისაკენ.

ლიტერატურული მოღვაწეობა დავიწყე «თითქოსდა დაუფიქრებლად», ჯერ კიდევ გიმნაზიაში სწავლის დროს, როცა ქართულ ჟურნალ «ცისკარში» 1860 წლის ოქტომბერში, დაიბეჭდა დიალოგი თემაზე: გვჭირდება, თუ არა ქართული ენა? სტუდენტობის პერიოდში ჩემი კალამი ვცადე «ისკრის», «სოვრემენნიკის» და განსაკუთრებით, «ნაროდნოე ბოგატსტვოს» ფურცლებზე, რომლის გამომცემელი იყო რუსეთის ყოფილი ელჩი ვენაში ბ-ნი ბილიბინი. სახელწოდების საპირისპიროდ, გაზეთი იოზივით ღარიბი იყო. მაგრამ მე ეს ხელს არ მიშლიდა ზამთარში, უპალტოდ, გულმოდგინედ, ყოველდღე გამერბინა რამდენიმე კილომეტრი, რომელიც ჩემს პატარა ოთახს, ბალშოე დვორიანსკოეზე, აშორებდა მაქსიმილიანეს შესახვევში მდებარე ფიუსნოს სტამბიდან და გამეტარებია იქ მთელი ღამეები კორექტურის სწორებასა და თხზვაში, მეტრანზაჟულ გაზომვებსა და სტატიების იმ ხარვეზების შევსებაში, რომელთაც ცენზურული წანაშალი ქმნიდა. თანდათანობით, ვმუშაობდი რა მონაცვლეობით თანამშრომლად, კორექტორად, ამწყობად, გაზეთის ექსპედიტორად, მე, თავათ არ ვიცი როგორ, ამ გაზეთის ფაქტიური რედაქტორი აღმოვჩნდი. ალბათ, გამომცემლის,

მოუცლელობისა და უფულობის გამო. ბოლოს მე ვიყავი ამ გაზეთის მოწინავე სტატიების ავტორიც, კრიტიკოსიც, ფელეტონისტიც, რითაც აღტაცებაში მომყავდა მისი გამომცემელი, ცხადია, არა იმდენად სტატიების შინაარსით, რამდენადაცმათი სიიაფითა და აუნაზღაურებლობით. ამ გაზეთში პირველად გამოჩნდა ჩემი ფსევდონიმი «სკანდელი», მაგრამ ჩემი სტატიების დიდ ნაწილს როგორც აქ, ასევე ყველგან შემდეგში, ხელმოწერა არ ქონდათ. სწორედ მაშინ დაიბეჭდა ჩემი სტატიები 1864 წლის 19 თებერვალის რესკრიპტის შესახებ (პოლონელი გლეხებისათვის მიწის გამოყოფის თაობაზე), საერობო რეფორმის შესახებ, პრუდონის წიგნზე «ომი და მშვიდობა», ზიბელის ნაშრომზე «საფრანგეთის რევოლუციის ისტორია» და ასე შემდეგ. მაგრამ ამ სტატიებს ფართო საზოგადოებაზე ადრე, ცენზურამ მიაქცია ყურადღება. მოულოდნელად ბილიბინს თავს დაატყდა წინადადება – გამომცემლის მოღვაწეობა შეეთავსებია კარიერაზე ზრუნვასთან. შეშინებულმა ბილიბინმა სრულიად შეწყვიტა გაზეთის გამოცემა,

#### 1. ვლადიმერ ბაქრაძე (1878-1953) – დიპლომატი.

რამაც ის სარგებლობა მომიტანა, რომ მისი წყალობით, ფიზიკური შემოწმების დროს სრულიად დაუძღვრებულ და მძიმე ავადმყოფად ჩამთვალეს, რის გარეშეც საზღვარგარეთის პასპორტს ვერ მივიღებდი, რადგან 1861 წლის შემოდგომაზე სტუდენტთა არეულობაში მონაწილეობისათვის პოლიციის მკაცრი მეთვალყურეობის ქვეშ ვიმყოფებოდი.

1864 წლის შემოდგომაზე მოვახერხე საზღვარგარეთ, პარიზში გამგზავრება, სადაც მე თითქმის სრულიად არ გამოვდიოდი ბიბლიოთეკიდან და წიგნებიდან თავი არ ამიღია. წლის ბოლოს, ჩემთვის სრულიად მოულოდნელად, მომნახა ა.ი. გერცენმა, რომლის გამოჩენამ ჩემს მანსარდში, ლათინური კვარტლის ვიწრო და ჭვარტლიან ქუჩაზე, დიდი სენსაცია მოახდინა. ავეჯით გაწყობილი ოთახების დიასახლისი, რომელიც ჯერ კიდევ იმ დილით აბუჩად მიგდებდა ბინის ქირის გადაუხდელობის გამო, გერცენის სტუმრობის შემდეგ თვითონ ამოვიდა ჩემთან და ჩაისთვის ადუღებული წყალი მომიტანა. იმ წლის ზამთარში და 1865 წლის გაზაფხულზე გერცენი ყოველთვის მნახულობდა, როცა პარიზში გავლა უხდებოდა. იმ დროს იგი ლონდონიდან ჟენევაში გადადიოდა მუდმივად და ხშირად იყო პარიზში. მახსოვს, ერთხელ როცა ჩემთან ევგ. ის. უსინი მოიყვანა, რომელიც შემდეგ «ვესტნიკ ევროპის» ცნობილი

პუბლიცისტი გახდა, და მე «ს. პეტერბურგსკიე ვედომოსტისათვის» (კორშის) პრუდონის სიკვდილისა და დასაფლავების შესახებ ფელეტონის წერისას მნახა, მან ბევრი იცინა ჩემი მუშაობის მანერაზე. დამინახა რა პრუდონისა და პრუდონის შესახებ დაწერილი ნაწარმოებებით გარშემორტყმული, დარწმუნებულმა, რომ ყველა ეს წიგნები წაკითხული მქონდა, მიწინასწარმეტყველა: თუ მე წინასწარ ამდენი ვემზადე, წერით ქონებას ვერ შევიძენ. როცა ეს სტატია გაზეთში წაიკითხა, ის ძალზე ცხარედ გამომედავა მასში გამოთქმული აზრების გამო და მათ უსამართლო უწოდა. მაგრამ ამ სტატიამ დაიმსახურა ფილოსოფოს გ.ლ. ლავროვის ქება, რომელმაც იგი მთლიანად გადაბეჭდა «ზაგრანიჩნი ვესტნიკში», რომელსაც ვოლფის წიგნის მაღაზია სცემდა მისი რედაქტორობით. ხოლო ლავროვი რომ ბევრს წერდა პრუდონზე და შესანიშნავადაც იცნობდა მის ნაწარმოებებს, ეს ცნობილია.

ზაფხულში გერცენმა დამიყოლია მისი «კოლოკოლისათვის» დამეწერა სტატია საქართველოში გლეხების განთავისუფლების შესახებ. მე დიდხანს ვყოყმანობდი, მიზეზად ჩემს მოუმზადებლობას ვეჭიდებოდი, იგი კი გულიანად ხარხარებდა, თავისი გადამდები სიცილით დასცინოდა, როგორც თვითონ ამბობდა, ჩემს «ინსტიტუტურ გულუბრყვილობას». – «რომელი ჟურნალისტია რისთვისმე მომზადებული?» მკითხა მან. «მათი დანიშნულება სწორედ ისაა, სწერონ ისეთ ახალ ამბებზე, რომელთა შესახებ, დაწყებული მათგან, არავინ არაფერი იცის». მე, რაც შემემლო, ვედავებოდი მას ამ პარადოქსის გამო; მაგრამ მიყვარდა რა იგი სწორედ პარადოქსებისათვის, ბოლოსდაბოლოს ჩავაბარე სტატია, რომელმაც მაშინდელ პრესაში მთელი ქარიშხალი გამოიწვია. გამოძახილს იმ ქარიშხალზე თქვენ იპოვით ცენზურის ანაბეჭდში, სათაურით «ძველი შეცდომები», რომელსაც გიგზავნით (თხოვნით – აუცილებლად უკან დამიბრუნოთ).

«კოლოკოლში» წერაზე მეტად მაშინ მე მიტაცებდა ჟენეველ რადიკალთა ორგანოში: – «La ატიონ შუისსე»-ში თანამშრომლობა, სადაც მე, როგორც კატა უძალო ქვეყანაში, დიდხანს ვითვლებოდი მცოდნე და თითქმის სწავლულ პუბლიცისტად. მაგრამ ერთი ალილო მღვდელსაც შეცდებო, ადგილობრივი ურთიერთდამოკიდებულების სრულიად არ მცოდნემ მე გავაკრიტიკე ცნობილი ფრანგი რესპუბლიკანელის პასკალ დიუპრას სიტყვა, მოვიხსენიე რა მისი 1848 წლის შეცდომებიც. აღმოჩნდა, რომ იგი პარტიის ლიდერის ჯემს ფაზის პირადი მეგობარია! მთხოვეს, «შთაბეჭდილების შესარბილებლად» დამეწერა რამდენიმე

მოსაზრებით კომპლიმენტი. «იგი ხომ ახლა ისედაც შევიწროებულია», მარწმუნებდა ფაზი. მაგრამ ამაოდ, მე ვერ მივხვდი და... ამ გაზეთში თანამშრომლობას თავი დავანებე.

ცოტა მოგვიანებით, რუს ემიგრანტ – გარიბალდელ ლ. ი. მეჩნიკოვთან (ცნობილი მეცნიერის ძმასთან) ერთად, რომელიც რუსულ ლიტერატურაში ჯერ კიდევ «სოვრემენნიკიდან» ცნობილია ლეონ გრანდის ფსევდონიმით, მე ვმონაწილეობდი ჟურნალ «სოვრემენნოსტში». ამ ჟურნალში მოვათავსე სტატიები, რომლებიც რომანტიკული რევოლუციონერობის ბანალური შაბლონურობის წინააღმდეგ იყო მიმართული. აქ მე პირველად გამოვთქვი თეორია «წაუგებელი ბრძოლებისა» საერო და თვითმმართველობის სარბიელზე. რუსულმა პრესამ მაშინვე მიაქცია ურადღება ამ ჟურნალს, როგორც სერიოზულ ცდას. მაგრამ ყველაფერი, რაც «ადვილააღებადი» იყო რუს ახალგაზრდობაში, წავიდა სხვა, – უკიდურესობის გზით. ამ მუშაობის ხასიათზე ნათქვამი მაქვს ჩემს მკვახე პასუხში ი.ს. ჯაბადარისადმი, – სტატიაში «როგორ იწერება ისტორია». მას შენდეგ, რაც დავამთავრე ციურიხის უნივერსიტეტის კურსი დოქტორის ხარისხით (ჩემი დისერტაციის თემა იყო, «განიარაღება და მისი ეკონომიური და სოციალური შედეგები»), სამშობლოში დავბრუნდი და, 1870 წლის გაზაფხულზე, ქ. თბილისში დავსახლდი; თანამშრომლობა დავიწყე «დროებაში». მონაცემებს ჩემი მუშაობის ხასიათისა და პერიპეტეიების შესახებ ქართულ პერიოდულ გამოცემებში თქვენ იპოვით ჩემს ამასწინანდელ ბროშურაში – «ჩემ პოლიტიკის შესახებ». ჩემი და განსვენებული ს.ს. მესხის შეხედულებათა მკვეთრი განსხვავებულობის გამო, უმეტესად მორიგ საკითხებზე, ერთობლივი თანამშრომლობის პირველი წარუმატებელი ცდების შემდეგ, მე მას შევუთანხმდი, რომ გაზეთის ერთ ნომერს მთლიანად იგი შეადგენდა, მეორეს – კი მე. 1870 წელს გაზეთი ყოველთვის ასე გამოდიოდა; ერთ ნომერს მთლიანად მე ვწერდი, ან ვადგენდი ისე, როგორც მე მიხდოდა, ხოლო მეორეს – რედაქტორი. საქმის ასე გაგრძელება დიდხანს შეუძლებელი იყო. წლის ბოლოს მე დავაარსე ჟურნალი «კრებული», რომელსაც ერთპიროვნულად ვხელმძღვანელობდი 1871 წლის ზაფხულამდე, სანამ მამაჩემის სიკვდილმა იძულებული არ გამხადა დამეტოვებია თბილისი. ამ დროიდან, უამრავი პრაქტიკული საქმეებით დატვირთვის გამო, პრესაში მონაწილეობის მიღება მხოლოდ გარედან შემეძლო, როგორც თანამშრომელს და არა როგორც გამოცემის მესვეურს. ეს უკანასკნელი მე მხოლოდ «ობზორის» გამოცემის დროს ვიყავი.

1871 წლის შემოდგომაზე ადგილობრივ ცხოვრებაში მნიშვნელოვანი გამოცოცხლება შეიტანა კავკასიაში იმპერატორ ალექსანდრე მეორის ჩამოსვლამ. მაშინ პირველად წარმოიშვა უთანხმოება ჩემსა და ადგილობრივი ინტელიგენციის მნიშვნელოვან ნაწილს შორის. მეფისათვის გადასაცემი ადრესის შინაარსის დასადგენად მოწვეულ თათბირზე, მე ვამტკიცებდი, რომ საჭიროა ვიზრუნოთ მხოლოდ ერობისათვის. ადგილობრივი ბოზოლები კადეტთა კორპუსს თხოულობდნენ, ინტელიგენცია კი – უნივერსიტეტს. დავინახე რა, რომ მათგან ცოტას თუ ვინმეს ესმოდა, რას ნიშნავდა ერობა და მისი აუცილებლობა, დავწერე სტატიები, რომლებიც «სასოფლო გაზეთში» დაიბეჭდა, შემდეგ კი ორჯერ გამოვიდა ცალკე ბროშურად. სხვათაშორის, «კრებულში» მე ადგილი დავუთმე გ. წერეთლის სტატიას უნივერსიტეტის შესახებ, ვინაიდან, როგორც ყოველთვის, დავემორჩილე გადაწყვეტილებას უმრავლესობისას, რომელმაც არ გაიზიარა ჩემი წინადადება არა მხოლოდ მაშინ, არამედ მრავალი წლის შემდეგაც, მიუხედავად ჩემი ყოველგვარი მტკიცებისა, რომ ერობა პირველი აუცილებელი ნაბიჯია, ქვეყნის განვითარების პირველი საფეხურია, რომ მის გარეშე, მის შექმნამდე, სახალხო ყოფა-ცხოვრების არავითარი მტკიცე გაუმჯობესების მიღწევა არ შეიძლება, ვინაიდან ხალხის განვითარება შეუძლებელია გზების, სკოლების, ექიმთა, კრედიტის ორგანიზაციათა გარეშე, ხოლო ყოველივე ამას მხოლოდ ერობა მოგვცემს, ამავე დროს ხალხს შეაჩვევს დისციპლინას, თანდათან ასწავლის თვითმმართველობას, დამოუკიდებლობას. მაგრამ ყოველივე ამას იყო: ამ საქმეში მე იმდენად მარტო ვიყავი, რომ ქართველ თავადაზნაურთა საერთო კრებაზე საერობოს შექმნის სასარგებლოდ, ჩემს გარდა, არავის არაფერი უთქვამს, ხოლო ქალაქის საბჭოში ჩემს წინადადებას მხარი დაუჭირა მხოლოდ ნაპოლეონ ამატუნმა. დამავიწყდა მეთქვა, დრო და ჩვევები მაშინ იმდენად პატრიარქალური იყო, რომ მე, რომელიც არც თავადაზნაურთა რიცხვს ვეკუთვნოდი და არც საბჭოს წევრი ვყოფილვარ, უფლება მომეცა სიტყვა წარმომეთქვა ორივე დაწესებულებაში. ჩემი სტატიების დიდი ნაწილი ან სრულიად ხელმოუწერელია, ან ხელმოწერილია ფსევდონიმით. მათი სიის მოცემა არ შემიძლია, რადგან ხელთ არ მაქვს ის გამოცემები, რომლებშიც ვთანამშრომლობდი. გაზეთ «დროების» ერთად-ერთი მთლიანი კომპლექტი (რამდენადაც მე ვიცი) უნდა ქონდეს თავად ი.გ. მაჩაბლის ქვრივს ა.ა. მაჩაბელს. მის კოლექციაში თქვენ შეგიძლიათ ნახოთ ჩემი ხელმოწერილი ბევრი სტატია 1870, 1871, 1872, 1873, 1876 და 1877 წლების ნომრებში. «კრებულში» ყველა ჩემი სტატია ხელმოწერილია «სკანდელის» ფსევდონიმით.

თქვენს მიერ მოწონებული ფრანგული ბროშურის წარმოშობა ასეთია: 1874–1875 წლებში მე იძულებული ვიყავი მეცხოვრა პარიზში თითქმის წელიწადნახევარი, ტყიბულის ქვანახშირის საწარმოს დაფინანსების თაობაზე. მამაჩემის ძველმა მეგობარმა მარიუს მარტენმა, რომელიც ჯერ ქუთაისის, შემდეგ კი თბილისის სასტუმრო «ფრანცის» პატრონი იყო, და რომელმაც კავკასიიდან დიდი ქონება გაიტანა, მაგრამ პარიზის კომუნის დროს ერთბაშად დაკარგა, მარსელის დეპუტატის დელპეშის მეშვეობით გამაცნო მისი თანამემამულე რუვიე, მარსელის დეპუტატი «ნაციონალურ კრებაში», რომელსაც საკმაოდ კარგი ურთიერთობა ჰქონდა პარიზის ფინანსურ სფეროებთან და შემდეგში სახელიც მოიხვეჭა როგორც ფინანსთა მინისტრმა და მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ. რუვიე, რომელსაც მაშინ ცოლად ჰყავდა ხანში შესული მწერალი ქალი, რომელმაც ჯერ კიდევ მეორე იმპერიის დროს სახელი გაითქვა თავისი ბრწყინვალე კორესპონდენციებით პარიზიდან «ინდეპენდანცე ელგე»-ში, დიდხანს წვალობდა ჩემი ტყიბულის საქმის გამო. ამ საზოგადოებაში მე ხშირად მიხდებოდა მსჯელობა იმის შესახებ, რომ ფრანგული პრესა ნაკლებად იცნობდა საგარეო საქმეებს; ამ მსჯელობას საფუძვლად ედო სამკითხველო კაბინეტებში გერმანული და ინგლისური გაზეთების უბრალო კითხვა მთელი დღეებით და კვირებით ბანკირების პასუხის მოლოდინში. ქალბატონი რუვიე და გამბეტას ახალგაზრდა მეგობრები, რომლებიც მის სალონში დადიოდნენ, დაინტერესდნენ უფრო მეტად არა ჩემი კრიტიკით, არამედ ჩემი შეხედულებებით იმ საკითხზე, რომ რუსეთს გაცილებით მეტი საერთო ინტერესები აქვს გერმანიასთან, ვიდრე საფრანგეთთან, ამიტომ ფრანგული პრესის საერთო ტენდენცია, რომელიც დიდ იმედს ამყარებს რუსეთთან კავშირზე, სწორი არაა. მათ დამითანხმეს გამომეთქვა ეს აზრი პრესაში. მაშინდელი ფრანგული პრესის სათავეში მდგომმა მისმა ვეტერანმა ემილ-დე-ჟირარდენმა, რომელმაც ცხოვრება დაამთავრა ბრწყინვალე გამარჯვებით ტიერთან და გამბეტასთან კავშირში, მაკ-მაგონის დიქტატურისა და მონარქიის რესტავრაციის ცდების წინააღმდეგ, მთლიანად გადაბეჭდა ჩემი ბროშურის ეს გვერდები თავის პოპულარულ გაზეთში «La France». მაგრამ აქედან, ცხადია, არაფერი არ შეიძლება გამოსულიყო. მომავალი გადაწყვეტს, – სწორედ ვმსჯელობდი მაშინ, თუ მწარედ ვცდებოდი. მაგრამ რუსეთ-გერმანიის ნამდვილად ბუნებრივი სოლიდარობა რომ, მართლაც, ვერ დაარღვია სამთა კავშირის მეოთხედსაუკუნოვანმა ცდამ და ასევე ვერც სამთა შეთანხმებამ, ეს, ვფიქრობ, არ იწვევს ეჭვს და დამტკიცებულია იაპონიის ომით, რაც კარგი საცდელი ქვაა ყოველგვარი კავშირის შესამოწმებლად. მინდა გავძლო დიდი პოლიტიკის თეორიული ვარაუდების ცხოვრების გამოცდილების მონაცემებით შემოწმებამდე.

ამას წინათ გავვოცდი, როცა «რუსკი არხივში» წავიკითხე ცნობილი დიპლომატის საბუროვის დეტალური მსჯელობა, რომელიც ამავე თვალსაზრისზეა დამყარებული. 1875 წლის შემოდგომაზე დავბრუნდი თბილისში და თანამშრომლობა დავიწყე «ტიფლისკი ვესტნიკში», რომელსაც ა. ბებუთოვი რედაქტორობდა. ჩემი დაჟინებული მოთხოვნითა და გაანგარიშებით, 1876 წლიდან ეს გაზეთი ყოველდღიური გახდა. 1875-1877 წლებში მასში დაიბეჭდა ჩემი ბევრი საინტერესო სტატია. მიაქციეთ ყურადღება 1975 წლის შემოდგომაზე დაბეჭდილ თბილისის საქალაქო საზოგადოებრივი სამმართველოს მუნიციპალური მოღვაწეობის სრულ პროგრამას, რაც განხორციელდა 4 წლის შემდეგ ჩემი ზემოქმედებით გადახალისებული საქალაქო სამმართველოს შემადგენლობით, რომელსაც მეთაურობდა ა.ს. მატინოვი. ამ თანამდებობაზე იგი მე წამოვაყენე გ. გ. ევანგულოვის წინააღმდეგ, რომელსაც მატინოვზე მეტი შესაძლებლობა ქონდა თბილისის თავი გამხდარიყო. ჩემი სტატიების მეორე საინტერესო სერია ამავე გაზეთში დაიბეჭდა 1876 წელს და ეხებოდა ჩემს პოლემიკას თავად ი. გ. ჭავჭავაძესთან (რომელიც ბეჭდავდა ქართულადაც «დროებაში»). ამ სტატიებში მე ვამტკიცებდი მიგვეცა ჩვენი საადგილმამულო ბანკებისათვის აგრარული და მელორაციული ხასიათი. ჩემი სტატიების მესამე სერია («Двоянский полетиаат»), ამონაწერების სახით, გადაბეჭდა სტატს-მდივანმა ბარონმა ა. პ. ნიკოლაიმ მის მოგონებებში კავკასიის მმართველობის შესახებ.

1877 წელს ვიყავი ჰავასის სააგენტოსა და «ტიფლისკი ვესტნიკის» სამხედრო კორესპონდენტი ომის აზიის ასპარეზზე. ამ გაზეთში გამოქვეყნებული ჩემი კორესპონდენციები სიტყვასიტყვით გადაბეჭდა ყველა რუსულმა გაზეთმა. ამ გაზეთთან კავშირის გაწყვეტის შემდეგ, რომლის ტირაჟი ჩემამდე 240 ეგზემპლარი იყო, მე კი 3500-მდე ავიყვანე (თუ რა მიზეზით გავწყვიტე მასთან კავშირი ამის შესახებ იხილეთ თავად დ.გ. ერისთავის თხზულებათა ქართული გამოცემისათვის დაწერილი ი. მ. მეუნარგიას წინასიტყვაობა), მე მიმიწვიეს გაზეთ «გოლოსის» სამხედრო კორესპონდენტად. ამ სარბიელზე ჩემი მუშაობის ხასიათის შესახებ იხილეთ «მოსკოვსკი ვედომოსტის» კატკოვის მიერ დაწერილი მოწინავე საბრალდებულო სტატიები წინააღმდეგ ჩემს მიერ ტელეგრაფულად აღწერილი იმ ბრძოლებისა, რომლის შედეგადაც დაეცა მუხტარ-ფაშა და ყარსი. საერთოდ, კატკოვი ზოგჯერ ყნოსვით მგრძნობდა და თავს მესხმოდა თავისი დიდი ტალანტის და გავლენის უზარმაზარი ძლიერებით, განსაკუთრებით 1879 წელს, «ოზორის» დასაცავად წარმოთქმული სიტყვის გამო, რამაც მთელი მაშინდელი პრესა მოიარა.

1878 წელს, მრავალი უარის შემდეგ, როგორც იქნა (პირველი თხოვნა «ობზორის» გამოცემის შესახებ 1870 წელს მივართვი კავკასიის მეფისნაცვალს), მომცეს უფლება გამომეცა ეს გაზეთი ჩემი რედაქტორობით. აქ უკვე საბოლოოდ მიმსხვერპლა ჩვენი საზოგადოებისა და ლიტერატურული ცხოვრების იმ წყლულმა, რომელიც წამლავდა და წამლავს ჩემს არსებას – იეზუიტურმა ხრიკებმა და ცილისწამებამ. ჩემი გეგმა, – რომელიც გადმოცემულია «ობზორის» პირველი ნომრის მოწინავე სტატიაში, – ხელი მოვკიდოთ პრესაში ადგილობრივი ყოფის კონკრეტული საკითხების გაუმჯობესების დამუშავებას და მოსახლეობა პრაქტიკულად მივაჩვიოთ თვითმმართველობას, დაამსხვრია გაქნილი ადამიანების ცილისწამებამ, თითქოს მე მთავრობამ მომიყიდა და რუსიფიკატორული მიზნები მამოძრავებს. მთელი მაშინდელი ქართველი ინტელიგენცია, რომელსაც არ ესმოდა და არ მაპატია ჩემი სიახლენი, შეხმატკბილებული სომეხ ინტელიგენციასთან, არ ვიცი რომელი სამშობლოს პატრიოტთა მეთაურობით, ისეთისა, როგორც იყო პ. ა. იზმაილოვი, შეეკედლა «ტიფლისკი ვესტნიკს» (იხილეთ მეუნარგიას ზემოთ დასახელებული სტატია და გ. მ. თუმანოვის «Хаактеистики и воспоминания», გამოცემული 1913 წელს, გვ. 54 და შემდეგ). ყოველდღიური დიდი გაზეთის გამოცემა თანამშრომლების და განსაკუთრებით კორექტორის გარეშე, იძულებულს მხდოდა, დღისით დაძაბული მუშაობის შემდეგ, თეთრად გამეთენებია ღამეები. მძიმედ დაავვა დიდი, ვნერვიულობდი, თავს ვერ ვიკავებდი და მკვახედ ვამტკიცებდი, რომ არავის არ მივყიდივარ და არავის არ ვუწევ ანგარიშს. მათაც ეს უნდოდათ. ადგილობრივ ხელისუფლებას, რომლის ყოველდღიურ ინტერესებს, რაგინდ შემოვლილად არ უნდა შევხებოდი ჩემს თეორიულ და პრაქტიკულ მუშაობაშიც, არ შეიძლება ზომები არ მიეღო და არ აელაგმა მისი სრული უგულვებელყოფა, მაგრამ შეცდომის დასასრული შთამომავლობის ხსოვნის ღირსია: ადმინისტრაციამ, ვინაიდან არ დავემორჩილე ცენზურას, რომელიც სასამართლომ გაამართლა, სტამბაში ჩამიყენა პოლიცია, რომლის თანხმობის გარეშე შეუძლებელი იყო ნომრის გამოშვება. ღონისძიება, რომელიც არსებითად მიმართული იყო მხოლოდ «ობზორის» წინააღმდეგ, ზრდილობისათვის თბილისის ყველა გამოცემებზე გაავრცელეს. «ტიფლისკი ვესტნიკმა» მოიწვია ყველა ადგილობრივ გამოცემათა რედაქტორების თათბირი და წინადადება მისცა მათ, ამ ღონისძიებისადმი პროტესტის ნიშნით კერძო რუსულ გაზეთებს გაფიცვა გამოეცხადებიათ. ხელისუფლება თითქოს წინ ვერ აღუდგებოდა ადგილობრივ რუს მოსახლეობას, რომელსაც მხოლოდ ოფიციალური «კავკაზით» დაკმაყოფილება არ შეეძლო. ადგილობრივ მკვიდრთა გამოცემებს ასეთი წინადადება არ მისცეს, რადგან მათი



მკითხველების ჩივილი ხელისუფლებამდე ვერ მიაღწევსო. მე დიდხანს ვეწინააღმდეგებოდი ამ წინადადებას, ვამტკიცებდი მის უსაფუძვლობას, მაშინებდა ხრიკები, მაგრამ, უფრო უმრავლესობის გადაწყვეტილებით ვიდრე საკუთარი მრწამსის გამო, დავთანხმდი. ყურადღება მიაქციეთ იმას, რომ უმრავლესობას შეადგენდა ადგილობრივ მკვიდრთა გაზეთების რედაქტორები, რომელნიც არ უნდა გაფიცულიყვნენ, მაგრამ სწორედ მათ გადაწყვიტეს ბედი «ობზორისა», ერთადერთი გაზეთისა, რომელსაც მაშინ კითხულობდნენ და გავლენა ჰქონდა. მოვალეობის უკიდურესობის გამო მე მოვითხოვე, რომ «ტიფლისკი ვესტნიკი» არ აღდგენილიყო «ობზორისაგან» დამოუკიდებლად, ესე იგი, არ დაეწყო ნომრების გამოშვება, სანამ პოლიციას სტამბიდან არ გაიყვანდნენ. «ტიფლისკი ვესტნიკის» რედაქციამაც საზეიმოდ დასდო ასეთი ფიცი. 1879 წლის თებერვლიდან ორივე გაზეთმა შეწყვიტა გამოსვლა. ამ ამბავმა დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ხალხზე. ხელისუფლებამ დაიწყო ჩემთან მოლაპარაკება სიძნელების მოგვარების საშუალებებზე. მე ავუხსენი გენერალ-ადიუტანტ თავად სვიატოპოლსკ-მირსკის და გენერალ სტაროსელსკის (მეფისნაცვალის მაშინდელ თანაშემწეს და მისი მთავარი სამმართველოს უფროსს), რომ ერთადერთი საშუალება, რაც ხელისუფლებასაც შეეფერება და პრესასაც, ადგილობრივი პრესის ცენზურისაგან განთავისუფლება და მის მიმართ იმ წესების გამოყენებაა, რომლებიც სატახტო ქალაქებში მოქმედებს. მეფისნაცვალი (დიდი მთავარი მიხეილ ნიკოლოზის ძე) დათანხმდა, ეშუამდგომლა ამის შესახებ პეტერბურგში. მე კი შემომთავაზეს მიმერთმია მათთვის შესაბამისი მოხსენებითი ბარათი, რომელიც საკმაო თანაგრძნობით მიიღეს საზეიმო ვითარებაში. მომხსენებელი იყო (ე. ი. ხმამაღლა კითხულობდა) თავადი გ. დ. შერვაშიძე. პეტერბურგში შემდგომი გამგზავრებისთანავე მეფისნაცვალმა აღძრა საკითხი თბილისზეც გაევრცელებიათ მაშინდელ სატახტო ქალაქში მომქმედი კანონი პერიოდული პრესის შესახებ. შუამდგომლობა თავიდან თანაგრძნობით მიიღო შინაგან საქმეთა მინისტრმა, და გენერალ სტაროსელსკის, რომელიც თან ახლდა მეფისნაცვალს, იმედი ჰქონდა, რომ კეთილად დამთავრდებოდა ეს საქმე. მაგრამ უეცარმა რეაქციამ, რაც სოლოვიოვის ალექსანდრე II-ზე თავდასხმამ გამოიწვია, ეს კეთილი საქმე ჩანასახშივე მოკლა, რის შესახებაც გენერალმა სტაროსელსკიმ მაშინვე მაცნობა ტელეგრამით. ამის შემდეგ «ტიფლისკი ვესტნიკმა», ისე რომ არც კი გაუფრთხილებია გაფიცვაში მისდამი სოლიდარული «ობზორის» რედაქცია, გასტეხა თავისი ფიცი და დაიწყო გამოსვლა ორმაგი ცენზურის (ჩვეულებრივისა და პოლიციურის) ზედამხედველობით. მე კი ვდუმდი 1880 წლამდე, სანამ ცენზურის კომიტეტის

თავმჯდომარემ დ. პ. ფურცელაძემ პოლიცია არ გამოიყვანა და არ დაამყარა პრესასთან ნორმალური დამოკიდებულება, რაც მხოლოდ რამდენიმე თვეს გაგრძელდა, სანამ ადგილობრივი ცენზურის კომიტეტი კარის პედაგოგების მოძალევსკის და გორძევესკის ხელში არ გადავიდა, რომელთაც პირობა დასდეს ვერძის რქასავით მოკაკავდნენ ადგილობრივ პრესას, და შეასრულეს კიდეც ეს დავალება.

არაფერს ვიტყვი «ობზორზე» და მის პოლემიკაზე «ტიფლისკი ვესტნიკთან» და სხვა ადგილობრივ გამოცემებთან. ეს ძალზე შორს წამიყვანდა. ყოველივე ეს თქვენ შეგიძლიათ შეამოწმეთ ამ გაზეთების კოლექციების მიხედვით. აგიხსნით მხოლოდ, რომ პოლემიკა წარმოიშვა «ობზორის» აზრის არაკეთილშობილური დამახინჯების მიზეზით. ავადმყოფობის პერიოდში, როცა ვიწექი და თავად არ შემიძლო წერა, ერთ-ერთ ჩვენს შემთხვევით თანამშრომელს, ჟუკოვს, მივანდე დაეწერა სტატია ადგილობრივ მკვიდრთა ენაზე პრესის უკეთესი უტილიზაციის შესახებ. ჩემი აზრის არსი ის იყო, რომ ამ გამოცემებს, ინტელიგენციის ვიწრო წრის მომსახურების ნაცვლად, რომელსაც რუსულად შეეძლო კითხვა, უფრო სასარგებლო საქმის გაკეთება შეეძლოთ ხალხის ფართო მასებისათვის რომ ემუშავათ, განსაკუთრებით კი მათთვის, ვისაც რუსულად კითხვა სრულიად არ შეეძლო. ეს მასები ამჟამად ხომ სრულიად მოკლებულია შესაძლებლობას თვალყური ადევნონ ლიტერატურულ და საზოგადოებრივ ცხოვრებას. მათთვის პოპულარულად, ანბანურად უნდა იწერებოდეს და არა იმ ჟარგონით, რომელიც მხოლოდ ინტელიგენტური წრებისათვისაა გასაგები. ვფიქრობ, ეს იყო ადგილობრივი პრესის და ადგილობრივი განვითარების მეგობრის რჩევა და არა მტრის. მაგრამ «მშაკის» გამომცემელი ბატონი არწრუნი ადგილობრივი პრესის როლის ასეთი «დამცირებით» განაწყენდა, ან შეიძლება ასეთი სახე მიიღო. მის შემდეგ მართლა აყაყანდა «დროების» რედაქტორი ს. ს. მესხიცი. «ტიფლისკი ვესტნიკის» მხარდაჭერით, «ობზორი» გამოაცხადეს რუსოფილურ ორგანოდ. «ობზორის» არსებობის მთელ მანძილზე, ამაში ძნელი არაა დარწმუნდეთ, პოლემიკაში მყოფ გამოცემათა სტატიების შედარებით, «ობზორის» არც ერთი აზრი არ დაუტოვებიათ ბოროტმზრახველი, შეგნებულად არაკეთილსინდისიერი დამახინჯების გარეშე, და ყოველივე ეს ერთდამავე თარგზე დაემტკიცებიათ, რომ მე ხელისუფლებას მივეყიდე, მინდა ჩვენი მხარე გარუსდეს, ამიტომ ჩემი აზრები და რჩევები მავენა. არავითარი სხვა კრიტერიუმი, კამათის და უარყოფის არავითარი სხვა მეთოდები, ცოდნის უკიდურესი შეზღუდულობის გამო, ჩემს მოწინააღმდეგეებს არ გააჩნიათ. პაროლი,

ტაქტიკა, პოლემიკა დონ-ბაზილიოს ჩვევამდე დადიოდა: «ცილი დასწამეთ, ცილი დასწამეთ, რაიმე მაინც მოეცხება». განა ავბედითი არაა, განა ნიადაგის ქვიანობას არ ამჟღავნებს ის გარემოება, რომ უკანასკნელ შეცდომამდე ღირსი არ გავხდით ბრძოლის სხვა მეთოდებისა? ბატონი ზდანოვიჩიცი კი, 1908-1912 წლებში, მხოლოდ ასეთი ხრიკებით ირთობდა თავს.

«ოზზორის» მოღვაწეობა დამთავრდა ჩემი სტავროპოლში გადასახლებით 1880 წლის ივლისში. გრაფ ლორის-მელიქოვის ხელისუფლებისა და დიდების სრული აყვავების დროს. «ტიფლისკი ვესტნიკი» დაილუპა რამდენიმე თვით ადრე, ხალხის გულგრილობასთან ბრძოლაში, თუმცა მდიდარმა მეპაიეებმა სამჯერ შეაგროვეს მოზრდილი თანხა მის გადასარჩენად. ამასობაში სწორედ იმ «პუბლიცისტმა» (თავ. ბებუთოვი), რომელიც შუამავლობდა რუსეთის ხელისუფლების ამ მეთაურსა და ლიბერალურ გაზეთს «გოლოსს» შორის, ჩუმიად ხალხში ჭორი გაავრცელა, თითქოს მე ახლო ურთიერთობაში ვარ გრაფთან, თითქოს «ოზზორში» გრაფის თაოსნობით თავს ვესხმი ადგილობრივ ადმინისტრაციას და ასე შემდეგ. ჩემმა თანამემამულეებმა, ბრიყვულად, შეუმოწმებლად გაავრცელეს ეს ტენდენციური ცილისწამება ჩემს იმ სტატიებზე დაყრდნობით, რომლებშიც თავს არ ვესხმი ხელისუფლებას და მიზნადა მაქვს მხოლოდ ადგილობრივი ყოფის არსებით ნაკლოვანებებსა და მათი აღმოფხვრის საშუალებებზე მითითება.

გადასახლებიდან განთავისუფლების შემდეგ გადავსახლდი პეტერბურგში და სამსახური დავიწყე რკინიგზაზე, რაც 1886 წლამდე გაგრძელდა. იქ მე ვცდილობდი ცხოვრებისათვის მიმეყენებია ეკონომიური სიახლენი, რაც შთამაგონა ტექნიკური პროგრესის მასიური ტვირთის გადაზიდვასა და სახალხო მეურნეობის ბედზე გავლენის შესწავლამ. რუსეთის ტექნიკური საზოგადოების «შრომებში» და ნავთის მრეწველთა პირველი ყრილობების მასალებში შეგიძლიათ იპოვოთ საკმაოდ ბევრი მონაცემები ამ დარგში ჩემი როლის შესახებ. მუშაობის ახალი ხერხების დანერგვაზე ამ დარგში შეგიძლიათ იმსჯელოთ შემდეგით: მთლიანი პროგრამა იმის შესახებ, თუ როგორ უნდა გადაჭრილიყო სიძნელებები და კრიზისი მაშინდელ ნავთობის მრეწველობაში, ნავთის გადაზიდვასთან დაკავშირებით, მე დავბეჭდე «ნოვოე ვრემიაში» 1883 წელს (№ 2668). ეს პროგრამა, რამდენიმე კვირის შემდეგ, ჩემი მოხსენების საფუძველზე მიღებულ იქნა ნავთის მრეწველთა საერთო კრებაზე ბაქოში და შემდგომი წლების მანძილზე ხელისუფლებამ მთლიანად განახორციელა, რამაც, როგორც

ცნობილია, ამ მრეწველობის უნახავი აყვავება გამოიწვია. 10 წლის შემდეგ ეს პროგრამა შეცვალეს სხვა ამჟამად მოქმედი პროგრამით, რომლის ნაყოფს ყველა ხედავს.

ამავე ხანას განეკუთვნება ჩემი თანამშრომლობა «ოტეჩესტვენისე ზაპისკიში». ჩემი პირველი სტატიის მიღებისთანავე (გრაფ ვალუევის რომანის «ლორინის» განხილვა), მ. ე. სალტიკოვმა და ნ. კ. მიხაილოვსკიმ შემომთავაზეს მუდმივად მეთანამშრომლა ჟურნალში, მაგრამ, მოუცლელიობის გამო, ამ წინადადებით ვერ ვისარგებლე. მიხაილოვსკის გადასახლების შემდეგ მე დამავალეს ამ ჟურნალის კრიტიკული განყოფილების ხელმძღვანელობა. გარდა ხელმოწერილი სტატიებისა, მე ამ ჟურნალის «ახალი წიგნების» განყოფილებაში მოვათავსე ბევრი ანონიმური სტატია. მაგრამ გრაფ დ. ტოლსტოის გაფრთხილებამ, სადაც პირდაპირ იყო მითითებული ჩემი სტატია გამბეტაზე, და მალე ჟურნალის მთლიანად აკრძალვამ, ეს მუშაობა შემაწყვეტინა. გიგზავნით ამ ჟურნალის სამ წიგნს, სადაც მოთავსებულია მასში გამოქვეყნებული ჩემი მნიშვნელოვანი სტატიები და აგრეთვე «უსტოის» ერთ წიგნს, რომელშიც ჩემი პატარა სტატიაა მოთავსებული. ამ ხნის განმავლობაში მე მომიხდა უნებური მონაწილეობის მიღება მოლაპარაკებაში ტერორის შეწყვეტის შესახებ. ეს ეპიზოდი გაშუქებულია ჟურნალ «ბილოეში» (1906, სექტემბერი, სტატიაში «ჩერნიშევსკის განთავისუფლება»). გიგზავნით ამ სტატიის ანაბეჭდს. გ. ა. ბოროზდინის (რომელმაც ამ ამბავში ჩამითრია) წერილი დაბეჭდილია ამავე ჟურნალში, 1907 წლის ოქტომბერში, ჩემი შენიშვნებით.

პეტერბურგში გატარებულ უკანასკნელ ზამთარს (1886 წ.) სამჯერ დამემართა ანთება, რამაც მაიძულა დავბრუნებულიყავი სამშობლოში, სადაც ა. ს. მატინოვის, იზმაილოვის და ახალგაზრდების მთელი ჯგუფის დაჟინებით, რომლებიც მთხოვდნენ სახელი მოგვეციო მხოლოდ, გაზეთს კი ჩვენ თვითონ გაუძღვებითო, კვლავ ჩავები პუბლიცისტიკაში. მაგრამ, როცა საქმეში ჩავები, აღმოჩნდა, რომ შედეგის ლოდინი არავის არ ძალუძს, უგონორაროდ ცხოვრება შეუძლებელია და ასე შემდეგ. იძულებული ვიყავი მესესხა, მევალა, როგორმე თავი გამეტანა და ა.შ. თბილისში ცხოვრება და გაზეთისადმი მეთვალყურეობა მე არ შემემძლო. «ნოვოე ობოზრენიეს» ვხელმძღვანელობდი ზუსტად ოთხი წლის განმავლობაში: 1887 წლის სექტემბრიდან 1891 წლის 1 ივლისამდე. ბოლოს ეს გაზეთი სავსებით მომბეზრდა, რადგან მისი თანამშრომლები, «მცირე პრესის» სულისკვეთებით აღზრდილნი, სულ სხვა მიზნებს ისახავდნენ, ვიდრე მე. მოვიყვანე მხოლოდ ორ მაგალითს. ერთ-ერთ თანამშრომელს დ. კეზელს

(ზოილი) ისიც კი არ ესმოდა, თუ რა განსხვავებაა ადვოკატისა და ჟურნალისტის როლებს შორის და საქმე იქამდე მიიყვანა, რომ ერთხელ, როცა მე მოწინავე სტატიაში ობიექტური აზრი გამოვთქვი ერთ-ერთ ადგილობრივ გახმაურებულ პროცესზე, რომელიც პოლიციის ბოქაულს თავად ერისთავს ეხებოდა, ბრალდებულის ნათესავმა ამ თანამშრომელის 300 მან. ხელმოწერილი წარმომიდგინა, რა საფასურადაც იგი კისრულობდა დაეცვა ბრალდებული «სასამართლოსა და პრესაშიც». კეზელს მე ვერაფრით ვერ გავაგებინე, რომ ადვოკატს, რომელიც მხარეს წარმოადგენს, უფლება აქვს მიიღოს საფასური კლიენტისაგან, მაგრამ ჟურნალისტს, რომელიც მოსამართლეა, ამის უფლება არა აქვს! იძულებული ვიყავი დავმორებოდი ამ უდავოდ ნიჭიერ, მაგრამ სრულიად განუვითარებელ, თანამშრომელს და მისი სახით გაბოროტებული მაგინებელი შემეძინა. მეორე თანამშრომელმა ილია ბახტაძემ (ხონელი), რომელიც დიდხანს მიყვარდა, მამის დაცვის მიზნით იმერეთის აწ განსვენებულ ეპისკოპოსის გაბრიელის წინააღმდეგ გაილაშქრა. ეპისკოპოსს, როგორც პირადად მე, ასევე მთელი მხარე დიდ პატივს სცემდა. მან დაიწყო გაბრიელის «მხილება» და, მის მიერ დასჯილი მღვდლების ნალაპარაკების საფუძველზე, წარმოუდგენელ სისულელეებს წერდა გაზეთში.

მე ვთხოვე რედაქტორს, პატივცემულ მ. ა. უსპენსკის («რუსკოე სლოვოს» ახლანდელ რედაქტორს), არ გაეშვა გაზეთში გაბრიელის ძაგება და ცილისწამება. მაგრამ თანამშრომელი ახერხებდა რედაქტორის გვერდის ავლას, ბეჭდავდა ქარაგმულ, ყველასათვის, გარდა რედაქტორისა, გამჭვირვალე პამფლეტებს. ხალხის საყვედური არ მასვენებდა არც გზაში, არც სახლში, არც სოფელში, ქალაქებზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია. უცნობებიც კი ასეთი სიტყვებით მომმართავდნენ: «ბატონო ნიკო, განა ცოდვა არაა აწყენინოთ ჩვენს საბრალო გაბრიელს?» მე ვემუდარებოდი თანამშრომელს შეეწყვიტა ეს უღირსი დევნა, პირადად ვეწვიე კურთხეულს, ვთხოვე ეპატიებია ჟურნალისტის მამისათვის, «შვილი დაბრმავებულია მამის სიყვარულით და ვერ ხედავს მის ცოდვებს მეთქი».

გაბრიელმა თავისი კანცელარიის მოხელეებს უბრძანა ეჩვენებინათ ჩემთვის ყველა თერთმეტი საქმე, შედგენილი ჟურნალისტის მამაზე და განმიცხადა, რომ უფლებას მაძლევს თვითონ გამოვიტანოთ განაჩენი ყველაზე უმნიშვნელო საქმის მიხედვით და ანგარიში არ გაუწიო დანარჩენ ყველაზე მნიშვნელოვან ათ საქმეს. რა უნდა მექნა? ახალი თანამშრომლების შეგროვება არსაიდან შეიძლებოდა. მოახლოებული იყო გაზეთ «კავკაზის» ი. ნ. მილუტინის ხელში გადასვლაც. გადავწყვიტე მიმეტოვებია გამოცემა, რომელიც არა მარტო ხარჯებს

ანაზღაურებდა, არამედ 4000 მანეთამდე მოგებასაც იძლეოდა. როცა დავრწმუნდი, რომ ვეღარ შევძლებდი ძველ რედაქციაში მუშაობას და ვერც ახალი, ნიჭიერი თანამშრომლების შეგროვებას, მივმართე თავადებს ი. გ. ჭავჭავაძეს და ვ.ს. მიქელაძეს, ასევე დ. – ზ. სარაჯევს, მიეღოთ ჩემგან გაზეთი, სამაგიეროდ კი მხოლოდ ის ვალი დაეფარათ, რომელიც მის გამო იყო აღებული. ყველამ უარი განაცხადა. ამ დროს თავადმა გ. მ. თუმანოვმა მომწერა, რომ შინაარსის მიხედვით გაზეთისადმი ჩემს გულგრილობას ამჩნევს და, რადგან ძმებისათვის საქმეს ეძებს, სურს იცოდეს: ხომ არ დაუთმობ მას გამოცემას, და თუ დავუთმობ, რა პირობით? მაშინ ძმები – თუმანოვები ჯერ კიდევ მათი მამის ტრადიციის ერთგულნი იყვნენ და ქართველ მოღვაწეებად თვლიდნენ თავს. მე არა მარტო ხალისით დავიწყე მათთან გარიგება, არამედ მოხარულიც ვიყავი, რომ გაზეთი მათ ხელში გადადიოდა. თავათ კი დავთანხმდი მეთანამშრომლა მასში, და, როგორც გაზეთის შინაარსის მიხედვითაც ადვილად დაინახავთ, საკმაოდ დიდხანს ვათავსებდი მასში ფელეტონების სერიას რუბრიკით «Со стоины». სხვათა შორის, ამ სერიიდან განსაკუთრებით გირჩევთ წაიკითხოთ მთელი რიგი სტატიები, რომლებიც 1893 წლის ქართულ-სომხურ დავას ეხება. მე და ძმები თუმანოვები მაშინ ერთ თვალსაზრისს ვადექით. თქვენ დარწმუნდებით, რომ ჩემს მაშინდელ რჩევას, ისევე როგორც ყოველთვის, მიზნად ჰქონდა ამ ორ ხალხს შორის კეთილშობილური ურთიერთობის დამყარება, და ამ სტატიებში თქვენ მიკროსკოპითაც ვერ აღმოაჩენთ შოვინიზმის, ან ვისიმე ღირსების შელახვის უმცირეს კვალსაც კი. ჩემი პირადი აზრი ამ შეჯახების შესახებ, რომლის კულისებს იქეთა მხარე ჯერ კიდევ აღუწერელია და შესწავლას იმსახურებს შთამომავლობის ჭკუის სასწავლებლად, ის, რომ მე ამის წინააღმდეგი ვიყავი და მის თავიდან ასაცილებლად ვაკეთებდი ყველაფერს, რაც ჩემზე იყო დამოკიდებული, გადმოცემულია სტატიაში, რომელიც გამოქვეყნდა ქართული ჟურნალის «მოამბის» 1894 წლის პირველ ნომერში.

«ნოვოე ობოზრენიეში» ჩემი მუშაობის ხასიათს შეგიძლიათ გაეცნოთ ამ გაზეთის იმ კოლექციების მიხედვით, რომლებიც, მოსალოდნელია, ინახება თბილისის საჯარო ბიბლიოთეკაში და, ალბათ, თავად გ. მ. თუმანოვთან. სანამ გაზეთი ჩემს ხელში იყო (ე. ი. 1887-1891 წ.წ.), გარდა ხელმოწერილი ფელეტონებისა, მე მასში თითქმის ყოველდღე ვბეჭდავდი მოწინავე სტატიებს, სერიას «ნაწყვეტები» და წვრილმან ცნობებს. ძმები თუმანოვების ხელში გამოცემის გადასვლის შემდეგ, გარდა სერიისა «Со стоины» და რამდენიმე სტატიისა 1892 წლის «ხოლერის» შესახებ, ხანდახან კორესპონდენციებსაც ვბეჭდავდი, მაგრამ ძალზე იშვიათად.

ერთი წლის (1894 წ.), და უფრო მეტი ხნის, განმავლობაში, ახალ, ყოველთვიურ ქართულ ჟურნალ «მომხმეში», რომლის რედაქტორი იყო აწ განსვენებული ნაფიცი ვეილი ა. მ. ჭყონია, მე ვხელმძღვანელობდი შინაურ და პოლიტიკურ მიმოხილვას. ეს იყო არა შიშველი ქრონიკა, და არა ახალი ამბების კრებული, არამედ – მიმოხილვები და დოქტრინალური სტატიები სხვადასხვა მორიგ საკითხებზე. ყოველ ასეთ ნარკვევში მე ვდებდი დიდ შრომასა და მასალას. ჟურნალი ცუდად ვრცელდებოდა. მალე მასში დაიწყეს, ჩემი აზრით, სრულიად დაუშვებელი მიმართულების სტატიების ბეჭდვა. მე უხმოდ გავუჩინარდი. ჩემი სტატიებიდან ზოგიერთმა საკმაოდ ძლიერი შთაბეჭდილება მოახდინა. მაგალითად, პირველმა «შინაურმა მიმოხილვამ» სომხურ-ქართული დავის შესახებ, «პოლიტიკურმა მიმოხილვამ» – უნგრეთის საქმეზე, სტატიამ საერობოს როლის შესახებ რუსეთში, ნარკვევმა მადაგასკარის საფრანგეთთან შეერთების შესახებ და სხვა მრავალმა. ზოგიერთს ამ სტატიებიდან, განსაკუთრებით უნგრეთის საქმეებისა და მათში დეაკის როლის შესახებ, აქამდე იხსენიებენ ჩემი მტრები, უმთავრესად იმიტომ, რომ მათში, გარდა რევოლუციური გზისა, ნაჩვენებია სამშობლოსადმი სამსახურის გზების შესაძლებლობაც.

განსაკუთრებული ყურადღება მიაქციეთ ჩემს უკანასკნელ ფელეტონს გაზეთის თავად თუმანოვების ხელში გადასვლამდე, ან პირველს მათი რედაქტორობით დაბეჭდილს, მათში მე გამოვთქვი ჩემი თვალსაზრისი პუბლიცისტის როლის ნაადრეობის შესახებ ჩვენში. 1897 წელს სრულიად შევწყვიტე «ნოვოე ობოზრენიეში» თანამშრომლობა (ჩემი უკანასკნელი სტატია – «როგორ შევწყვიტოთ ტომთა შორის დავა» – დაიბეჭდა 1897 წლის გაზაფხულზე), და, ამის შემდეგ, ხანდახან, საკმაოდ უხალისოდ, ვ. ლ. ველიჩკოს დროს, გაზეთ «კავკაზში» ვბეჭდავდი სტატიებს უმთავრესად თვითმმართველობის შესახებ საერთოდ, კერძოდ კი, ფოთის თვითმმართველობის შესახებ. თუ რა როლი ვითამაშე 1905 წელს მოთხრობილია ჟურნალ «კლდის» 1913 წლის 37 და 38 ნომრებში გამოქვეყნებულ სტატიებში. მე მთელი ჩემი შესაძლებლობით ვცდილობდი არ დამეშვა სხვადასხვა მოუფიქრებელი, «უიარაღო-შეიარაღებული» გამოსვლები, რისთვისაც ჩვენმა უკიდურესმა პარტიებმა რეტროგრადად გამომაცხადეს. მას შემდეგ პრესაში მხოლოდ იმიტომ გამოვდიოდი, რომ თავი მემართლებინა ისეთი ცილის წამებისაგან, როგორც წარმოუდგენელია ყველა წესიერ საზოგადოებაში. იმ მხრივ განსაკუთრებით დამახასიათებელია პოლემიკა, წამოწყებული ჩემი მონაწილეობით ქუთაისის კომიტეტში, რომელიც იქ საერობოს შექმნის საფუძვლებს იმუშავებდა: ნუ

დაიზარებთ და გაეცანით ამ კომიტეტის მოხსენებას, რომელიც მთლიანად დაიბეჭდა გაზეთ «ზაკავკაზიში» 1909 წლის ნოემბერში, და მის მიერ გამოწვეულ პოლემიკას. თქვენ მიხედვით თუ რა ტრაგიკულ მდგომარეობაშია ჩვენი პუბლიცისტი, რომელიც შრომობს არა თავის გასართობად, არამედ იმ მიზნით, რომ რეალური სამსახური გაუწიოს თავის ქვეყანას ამჟამად არსებულ და არა იდეალურ, სინამდვილეში არ არსებულ პირობებში.

გასულ წელს, მიუხედავად ჩემი უნუგეშო მდგომარეობისა და საზოგადოებრივ მოღვაწეობაზე სრულიად ხელის აღებისა, ქართული პრესა თავს მესხმოდა და ცილს მწამებდა. რაც სრულიად დაუშვებელია ყოველგვარი, ყველაზე აღვირახსნილი ეთიკითაც კი. მე იძულებული ვიყავი პასუხი გამეცა მათთვის ბროშურით «ჩემი პოლიტიკის შესახებ» (თან ვურთავ), რომელიც იმიტომ დაიბეჭდა ცალკე, რომ ცილისწამების შემდეგ არცერთმა გაზეთმა არ ისურვა დაებეჭდა ჩემი ეს უარყოფა, რომელიც, როგორც ხედავთ, დიდი მორიდებითა და თავდაჭერილობითაა დაწერილი და, გარდა იდეებისა, არაფერს არ ეხება. როგორც ხედავთ, მკაცრი ჩვევები დაინერგა ჩვენს პრესაში: ღმერთმა უწყის საიდან და რა საშუალებებით გამონახავენ გაზეთის გამოსაცემ თანხას, და ჩვენი ვითომდაც პუბლიცისტები ფიქრობენ, რომ მხოლოდ სიცრუითა და ბაქიობით შესძლებენ შესცვალონ ქვეყნის ბუნებრივი ზრდა და დაამკვიდრონ მასში თავიანთი ნაბოდვარი. მათ არ იციან, რომ ჩემზე მეტად არავის გაეხარდება მათი ყველაზე ზებუნებრივი ოცნების განხორციელებაც კი. მაგრამ რას იზამ, მე არ შემძლია შეუძლებელი შესაძლებლად ვაქციო. ჩემი მოწინააღმდეგეები მომაწერენ მოჩვენებით ყოვლისშემძლეობას, და მთვლიან მათი უძლურებისა და უნაყოფობის მიზეზად საზოგადოებრივი საქმეების უთავბოლო ჯახირში... გამოგზავნილ წერილებიდან და გაზეთებიდან, გთხოვთ, აუცილებლად დამიბრუნოთ: «1. «ოტეჩესტვენიე ზაპისკის» ყველა სამი წიგნი, 2. «რუსკაია მისლის» ნომერი შელგუნოვის სტატით, 3. გაზეთ «ზაკავკაზიის» 1909 წლის 85, 86 და 119 ნომრები და 1910 წლის, 12, 64, 65 და 66 ნომრები, ასევე გაზეთ «ზაკავკაზსკაია რეჩის» 1912 წლის მესამე ნომერი. ჩემთვის ძალზე მნიშვნელოვანია გაზეთების ამ ნომრების შენარჩუნება, რადგან მათ ახლა ვერსად იშოვი და გთხოვთ, არ დამიკარგოთ. ხოლო ის წიგნები, რომლებიც დასახელებულია ამ სიის პირველ ორ პუნქტში, დიდი კოლექციის ნაწილს შეადგენს და მათი დაკარგვით კოლექცია დაილუპება. გთხოვთ დამიბრუნოთ, აგრეთვე, ცენზურის ანაბეჭდები, რომელთაც მხოლოდ იმიტომ გიგზავნი, რომ წარმოდგენა გქონდეთ, რა პირობებში მიხდებოდა წერა და რა ძნელია ასეთ ნაწარმოებებს



მოსთხოვით თავშეკავებული სტილი და ლოგიკა. სხვა ყველაფერი დაიტოვეთ სახსოვრად, ჩემი ნაწერებისადმი აქამდე უჩვეულო ყურადღების სამადლობელოდ...

საერთოდ, ვმუშაობდი სავსებით გაუკაფავ ნიადაგზე (ადგილობრივ საქმეებში) და არ მყოლია წინაპრები. სწორედ ამით აიხსნება ჩემი შრომების ნაკლულოვანებანი და შეიძლება ღირსებებიც.

ამ წერილს პრესისათვის არ ვწერ და ყველაფერი, რაც მასში ნაღვლიანად ჟღერს, არც საყვედურია და არც ჩივილი. ეს მხოლოდ ჩემი შრომის ამაოების შეგნებაა. საწყენია, რომ ამდენი ძალა შევალე საქმეს, რომელიც, როგორც ჩანს, არავის ჭირდება და, უკეთეს შემთხვევაში, ნაადრევია. პირადი დანაკარგი და ნაღველი არც ისე მაწუხებს. გული მხოლოდ იმაზე მტკივა, რომ ამდენი ძალა და ენერჯია რაიმე სხვა საქმეზე დამეხარჯა, დარწმუნებული ვარ, შედეგები სულ სხვა იქნებოდა და ეს ეჭვი იმ საქმის სიცოცხლისუნარიანობაში, რომელსაც სიცოცხლე შევალე, მწუხარებას მგვრის. მე ბევრს გავიღებდი ადრინდელი იმედებისათვის ჩვენი ქვეყნის ზრდაში, – მის ნიადაგზე კეთილი თესლის ამოსვლაზე, მის ყოფაში სიცრუისა და სიბოროტის უძლურებაზე. მაგრამ ამგვარი ილუზიები, რომლებიც ჩემს ცხოვრებას ალამაზებდა, ვაი რომ, ქრება.

და თუ ყოველივე ეს ასე მწარედ მტკენს გულს, სრულიად არა ჩემს გამო. გისურვებთ უკეთეს ხვედრს და ყოველგვარ წარმატებას ცხოვრებაში, ვრჩები თქვენი ერთგული ნ. ნიკოლაძე.

წერილი დაწერილია რუსულად, პირველად 1961 წელს პროფ. გ. მეგრელიშვილმა გამოაქვეყნა რუსულ ენაზე საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის შრომებში (ტ. LVI), ხოლო 1971 წელს დოც. მ. კანდელაკმა რუსულ და ქართულ ენებზე გამოაქვეყნა თსუ შრომების ჟურნალისტიკის სერიაში – «ჟურნალისტიკის თეორიისა და ისტორიის საკითხები», ტ. II, გვ. 345-388.